განკარგულება:**g-81. 8123059001**
თარიღი:**28/02/2023**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №11

ლეჩხუმში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს ლეჩხუმში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა. (დანართი №1 თან ერთვის).

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დაგენილი წესით.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი N 1

ლეჩხუმში მევენახეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

მუხლი 1. შესავალი

ლეჩხუმი, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების თვალსაზრისით, ისტორიულად გამორჩეული მხარეა, რაზეც მეტყველებს აქ შობილი ისეთი ენდემური ჯიშები, როგორებიცაა უსახელაური და ორბელური.

ლეჩხუმური ღვინოები ყოველთვის გამოირჩეოდა დაბალანსებული შაქარ - მჟავიანობითა და განსაკუთრებული ორგანოლეპტიკურ - გემოვნური თვისებებით, რასაც ადგილობრივი ნიადაგების ქიმიური შემცველობა და ყურძნის ნედლეულზე მზის ტემპერატურის ზემოქმედების ხანგრძლივობა განაპირობებდა.

ამის ნათელი დასტურია ის ფაქტიც, რომ დასავლეთ საქართველოში ესოდენ გავრცელებული ცოლიკოურის ჯიშის ნედლეულზე დაყენებული ღვინოები რადიკალურად განსხვავდებიან ლეჩხუმური თანამოძმისგან და უფრო მეტიც - მხოლოდ ტვიშის მიკროზონაში იწარმოება საქვეყნოდ ცნობილი ნახევრადტკბილი ღვინო ,,ტვიში“.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია - ცაგერის მუნიციპალიტეტში საოჯახო მევენახეობის განვითარების ხელშეწყობა, რომელიც წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებული ბენეფიციარების დახმარებას.

მუხლი 3. პროგრამის ამოცანა

საოჯახო მეურნეობების უზრუნველყოფა სისტემურ - კონტაქტური შესაწამლი პრეპარატებით.

მუხლი 4. პროგრამის მონაწილეები და მონაწილეობის საერთო წესი

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია ცაგერის მუნიციპალიტეტში მოქმედ ყველა საოჯახო მეურნეობას, რომელთა საკუთრებაში არსებული ვენახების ჯამური ფართობი არ აღემატება 1 ჰა. მათთვის განკუთვნილი ფინანსური დახმარების გაანგარიშება ეფუძნება ვენახების პასპორტიზაციის ბაზას.

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი, მისი ფორმირება და გასაცემლების საშუალო მაჩვენებელი

1. პროგრამის ბიუჯეტის ფორმირების საერთო წყაროა ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. ერთ ჰექტარზე გაშენებული ვენახის შეწამლისთვის განსაზღვრული პრეპერატების შესაძენად გამოყოფილი თანხის ოდენობა შეადგენს 1250 (ათას ორას ორმოცდაათ) ლარს.
2. გასაცემლების რაოდენობა დიფერენცირებულია ფართობებთან შესაბამისობით.

მუხლი 6. პროგრამის მოქმედების ვადა

1. პროგრამის მოქმედების ვადას განსაზღვრავს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო და იგი სათანადოდ აისახება ადგილობრივ ბიუჯეტში.
2. გასაცემლების დარიცხვა მოხდება ეტაპობრივად ვენახების წამლობის პერიოდში (მაისი-აგვისტო).

მუხლი 7. პროგრამაში მონაწილეობის და დახმარების მიღების საერთო წესი

1. პროგრამის მონაწილე შეიძლება იყოს საოჯახო მეურნეობის ერთ-ერთი სრულწლოვანი მოქალაქე ფიზიკური პირი, რომელიც ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯამურად ფლობს ცოლიკაურის ან ორბელური ოჯალეშის ჯიშით დაკავებულ 1 ჰექტრამდე ვენახის ფართობს.
2. საოჯახო მეურნეობის საკუთრებაში არსებული ვენახი დარეგისტრირებული უნდა იყოს სააგენტოს ერთიან ელექტრონულ ბაზაში ოჯახის ერთ-ერთ სრულწლოვან წევრზე.
3. პროგრამის მონაწილეზე შედგენილი უნდა იყოს ვენახის კადასტრი და იგი უნდა ფლობდეს ამონაწერს.

მუხლი 8. დახმარების გაცემის პირობები

1. დახმარების გაცემის წესი დგინდება ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტის შესაბამისად.
2. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მხოლოდ ვენახის შესაწამლად განსაზღვრული სისტემურ-კონტაქტური პრეპარატების შეძენა.
3. საჭირო პრეპარატების შეძენა უნდა განხორციელდეს მხოლოდ სპეციალიზებულ აგრო მაღაზიებში.
4. დახმარების გაცემა განხორციელდება ღვინის ეროვნულ სააგენტოს ერთიანი ბაზის მონაცემებზე დაყრდნობით.
5. პროგრამის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ცოლიკოურის და ორბელური ოჯალეშის ჯიშის ვენახის მეპატრონეებზე.

მუხლი 9. პროგრამის მონაწილის ვალდებულებები

პროგრამის მონაწილე ვალდებულია:

ა) დარეგისტრირებული იყოს ან დარეგისტრირდეს ერთიან ელექტრონულ ბაზაში და გააკეთოს ვენახის კადასტრი, რაც დადასტურდება შესაბამისი ამონაწერით.

ბ) საჭირო პრეპარატები შეიძინოს მხოლოდ სპეციალიზებულ აგრო მაღაზიებში.

გ)უზრუნველყოს შეძენილი პრეპარატებისა დანიშნულებით გამოყენება და ხარისხიანი ყურძნის წარმოება.

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ვალდებულება

მუნიციპალიტეტი ვალდებულია:

1. ანაზღაურება განახორციელოს უნაღდო ანგარიშსწორებით.
2. თანხის ჩარიცხვა განახორციელოს ნებისმიერი ბანკში შესაბამისი ფიზიკური პირების ანგარიშებზე.

მუხლი 11. დახმარების გაცემის წესი:

1. პროგრამის ადმინისტრირება ევალება ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს.
2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია ღვინის ეროვნული სააგენტოსაგან გამოითხოვს ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ და ერთიან ელექტრონულ ბაზაში ფიზიკური პირების კუთვნილებაში არსებულ ცოლიკაურისა და ორბელური ოჯალეშის ჯიშის ვენახების ფართობებს მესაკუთრეთა მიხედვით.
3. წარმოდგენილ საკადასტრო მონაცემებს ამუშავებს მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური, ადგენს გაანგარიშებასა და ნუსხას თითოეულ მესაკუთრეზე გასაცემლების ოდენობის შესახებ და წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.
4. მუნიციპალიტეტის მერი გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც გადაეცემა საფინანსო სამსახურს შესაბამისი თანხების ფიზიკური პირების ანგარიშებზე ასახვის მიზნით.
5. დახმარების მისაღებად პროგრამაში მონაწილე ფიზიკურმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

   ა) განცხადება მერის სახელზე.

   ბ) პირადობის მოწმობის ასლი.

   გ) საბანკო ანგარიშის ნომერი.

   დ) ვენახების კადასტრის ამონაწერი.

   ე) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი.

   ვ) მერის წარმომადგენლის ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ.